* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად,- მათ სულთ დხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ,- ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ:¨ ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!¨
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს დ
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
ყვარელი.